



ანტიფემინიზმი

ახალ ნაციონალისტურ დისკურსში

საქართველოში ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა დიად ულტრა-ნაციონალისტურ, “პროგრესულ” ან “მემარცხენე” იდეებს ამოფარებული ანტი-გენდერული დისკურსები. სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფი საკუთარ მედია-პლატფორმებს საზოგადოებაში ქალთა და ქვიარ ჯგუფების მიმართ დამახინჯებული, მჩაგვრელი წარმოდგენების ჩამოსაყალიბებლად იყენებს. ეს ხშირად, პოლიტიკური პოზიციების გამყარების მიზნით, “მტრის ხატზე” საზოგადოების ყურადღების გადატანით, ქვეყანაში არსებული მწვავე სოციალური მდგომარეობის გადაფარვის ხარჯზე ხდება.

ერთი შეხედვით, ულტრა-მემარცხენე, “პროგრესულ” და ფსევდო-მემარცხენე ძალებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობები არსებობს, თუმცა მათ ანტიფემინისტური იდეები აერთიანებთ.

ალტ-ინფო

რადიკალურად ანტი-ფემინისტურია და გათვლილია მემარცხენე, ფაშისტური რიტორიკის ნორმალიზებაზე. ის ხშირად აპელირებს “ოჯახის სინდისს” კონცეფციით და ცდილობს მტრული განწყობების შექმნას ქალთა და ქვიარ განმათავისუფლებელი მოძრაობების მიმართ.

გირჩი

მემარცხენე-ლიბერტარიანულ პოზიციებზე დგას, სადაც თავისუფლება მკაცრად ინდივიდუალისტური კუთხიდან განიხილება და არ აღიარებს სხვადასხვა სისტემური ჩაგვრის (სექსიზმი, მიზოგინია, ქვიაროფობია) ფორმებს. “სიტყვის თავისუფლებას” და “აზრთა სხვადასხვაობას” აგითირებს, თუმცა ყურადღება ყოველთვის მხოლოდ ერთი მხარის სიტყვის თავისუფლებას ეთმობა და ჩაგვრული ჯგუფების ხმას არ ითვალისწინებს.

პოსტვ

მმართველი პარტიის მიერ დაფინანსებული მედია პლატფორმაა, რომლის თვითმიზანია რეგრესული პოლიტიკის შეფუთვა ბუნდოვანი ინტელექტუალური და მემარცხენე-სოციალისტური პოზიციებით და მხარდამჭერთა მდგრადი იდეოლოგიური ჯგუფის ჩამოყალიბება. “გურიზმებში” ფემინისტური და უმცირესობათა ჯგუფების მათავისუფლებელი ბრძოლები - “ლიბერალური ელიტის” თამაშებადაა წარმოდგენილი.

ანტიფემინიზმი

ანტიფემინიზმი, რომელიც მიზანმიმართულად ქალთა მოძრაობებისა და მათი ფუნდამენტური ღირებულებების წინააღმდეგაა მიმართული, ძირითადად ისეთ საზოგადოებებში ჩნდება, სადაც კაცთა უპირატესობა და ძალაუფლება გამოკვეთილია, ქალების თავისუფლებისკენ სწრაფვა და თანასწორობის იდეა კი ამ პრივილეგიების ქონას საფრთხეს უქმნის.

ფემინისტური მოძრაობის დისკრედიტაციისთვის ანტიფემინისტური ჯგუფები შემდეგ არგუმენტებს და მიდგომებს იშველიებენ:

- ▼ ამტკიცებენ, რომ ფემინიზმი ძალიან შორს წავიდა, რადგან საზოგადოებაში თანასწორობა უკვე არსებობს;
- ▼ ეწინააღმდეგებიან განსხვავებულ სოციალურ და პოლიტიკურ სისტემებს და არსებული, დომინანტური ღირებულებების დაცვაზე არიან ორიენტირებულნი.
- ▼ ქმნიან დამატებით წნეხსა და ბარიერებს ფემინისტური პოლიტიკისთვის, რომელიც არა მხოლოდ გენდერული, არამედ ყველა ტიპის თანასწორობისთვის იბრძვის და სისტემური ჩაგვრის აღმოფხვრას ემსახურება.

ფემინიზმის ფუნდამენტური ღირებულებები:

- ქალის სხეულებრივი ავტონომია
- სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები
- სამართლიანი სოციო-ეკონომიკური გარემო
- გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრა
- სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა

რეგრესული განწყობები ამ ანტიფემინისტურ ჯგუფებში რამდენიმე ძირითადი საკითხის გარშემო ერთიანდება. კვლევის ფარგლებში გავაანალიზეთ გირჩის, ალტ.ინფოს და პოსტვის მედია-პლატფორმები და გთავაზობთ მათ პოზიციებს:

კვლევა - ტექსტი

- ▼ სექსუალური ძალადობის ფაქტებზე საუბარი კაცების რეპრესია და ცილისწამების საფუძველს ქმნის;
- ▼ “შენზე რომ არ იძალადონ, ისეთ ადგილას უნდა იმუშაო, სადაც ნაკლებია ძალადობის რისკი”;
- ▼ ძალადობასთან და ფემიციდთან ბრძოლა ოჯახის ინსტიტუტის გაქრობისკენ არის მიმართული;
- ▼ წელიწადში 11 ქალის მკვლელობა არ არის კატასტროფული მაჩვენებელი;
- ▼ ჩასახვისთანავე, ნებისმიერ ეტაპსა და გარემოებაში აბორტი მკვლელობაა და უნდა აიკრძალოს;
- ▼ სკოლაში სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და უფლებებზე ბავშვების განათლება მათზე არასწორ ფსიქო-სოციალურ ზემოქმედებას მოახდენს და ლგბტქ+ ადამიანების რიცხვს გაზრდის;
- ▼ აგრესიული ეროვნულ-კონსერვატული რაზმები უნდა შეიქმნას ლგბტქ+ ჯგუფის წინააღმდეგ;

- ▼ არ აღიარებს ძალადობას, თუკი ის უშუალოდ ფიზიკურ კონტაქტს არ მოიცავს;
- ▼ ეწინააღმდეგება სექსუალურ შევიწროვების შესახებ კანონს;
- ▼ ეწინააღმდეგება აბორტს. გთავაზობს ბავშვის გაჩენას და ფულის სანაცვლოდ გაშვილებას;
- ▼ არ არსებობენ მოწყვლადი და ჩაგრული ჯგუფები, არსებობენ მხოლოდ მოწყვლადი და ჩაგრული ინდივიდები;
- ▼ ტრანსგენდერობა საკუთარი ჰომოსექსუალობის მიუღებლობის შედეგია;
- ▼ საკუთრების უფლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მარგინალიზებული ჯგუფების თანასწორუფლებიანობა და მათი ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა.

ბიზნისი

კვლევა

- ▼ სექსუალურ შევიწროვებაზე საუბარი ხელოვნურად შექმნილი პრობლემაა;
- ▼ ძველი ცოდვების, კერძოდ ძალადობის და სექსუალური შევიწროვების გამო, ადამიანებს სრულფასოვანი ცხოვრების გაგრძელებაში არ უნდა შეეშალოთ ხელი;
- ▼ ინკლუზიური ენის შემოტანა აბსურდულ პოლიტკორექტულობის თამაშია, რომელსაც დაბნეულობა შემოაქვს და რეალობას ვერ აღწერს;
- ▼ ეწინააღმდეგება გენდერულ კვოტირებას.

